სინერგია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შორის

არსებული მდგომარეობა და მომავალი განვითარების გეგმები

ლაშა მარგიშვილი
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - სამუშაო შეხვედრა, თბილისი, **28-29** მარტი, **2019**

განსახილველი საკითხები

1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში განვითარებისა და ცვლილებების მიმოხილვა

2. გამოწვევები და შესაძლებლობები უმაღლესი განათლების სფეროში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ერთობლივი დანერგვის პროცესში

3. სასწავლო შედეგების მიღწევის გაზომვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოში: გამოცდილება და ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები

2006

პირველი გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დანერგვა - ინსტიტუციური აკრედიტაცია

2010-2011

გარე ხარისხის უზრუნველყოფის 2 მექანიზმის შემოტანა - ავტორიზაცია და პროგრამული აკრედიტაცია

2017-2018

განახლებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების პილოტირება და დანერგვა

2018

- განახლებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვის პირველი წელი
- განაცხადი ENQA-ს წევრობაზე
- WFME-ის აღიარება

2019

- განახლებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვის მე-2 წელი
- ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცება



უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროს განვითარება: განახლებული გარე მექანიზმები

- ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ESG-2015-ის შემუშავება
- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების რეფორმის ინიცირება (ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის ანალიზი, უკუკავშირი უსდ-ებიდან, ექსპერტებიდან და სხვა დაინტერესებული მხარეებიდან, ESG-2015-ის გათვალისწინება)
  - განახლებული სტანდარტები და პროცედურები
  - შეფასების შკალა და გადაწყვეტილების სახეები
  - ექსპერტთა კორპუსი (საერთაშორისო ექსპერტები, სტუდენტები, დამსაქმებელთა წარმოამდგენლები)
  - გასაჩივრების მექანიზმები
- **მექანიზმების განახლების მიზნები**

- განვითარებაზე ორიენტირებული და შედეგების შეფასებაზე დაფუძნებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება

ხარისხის უზრუნველყოფა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო: კავშირები, გამოწვევები და შესაძლებლობები

ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლესი განათლების სფეროში

- სწავლის შედეგების შეფასება ინსტიტუციური პერსპექტივიდან - ავტორიზაცია (დაინტერეებული მხარეების ჩართულობა)
- სწავლის შედეგების შეფასება პროგრამებში - აკრედიტაცია
- რესურსებზე ორიენტირებული შეფასებიდან შედეგების შეფასებაზე გადასვლა
- ქართული უმაღლესი განათლების სფეროს ჰარმონიზაცია და აღიარება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

- ფოკუსი სწავლის შედეგებზე (ეროვნულ დონეზე)
- აღიარებისას ფოკისურება არა მხოლოს რესურსებზე, არამედ სწავლის შედეგებზე
- საზღვარგარეთ მიღებული კვალიფიკაციებისა და საქართველოში გაცემული კვალიფიკაციების აღიარების ხელშეწყობა

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო - ბოლონიის პროცესის რეფორმის ინსტრუმენტები (ESG – 2015 და QF-EHEA)
- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტები - დაინტერესებული მხარეები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაში
- ორივე ინსტრუმენტის მიზანია (სხვა მიზნებთან ერთად) სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება

ხარისხის უზრუნველყოფა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ერთობლივი დანერგვა: გამოწვევები და შესაძლებლობები

გამოწვევები

- დაინტერესებული მხარეებისათვის ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიზნების გაცნობა და მათი ჩართვა დანერგვის პროცესში
- ევროპული და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოების მიმართ ნდობისა და მიმღებლობის უზრუნველყოფა დაინტერესებული მხარეების მიერ
- ჩარჩოს დანერგვისას თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით კვალიფიკაციებს, სწავლის შედეგებს, საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ხარისხის უზრუნველყოფას შორის არსებული კავშირების გათვალისწინება
- ბალანსის უზრუნველყოფა პროგრამის შინაარსისა და სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებებს შორის
- დამსაქმებლების ჩართულობა სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებაში
- თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა მიღწეული შედეგების შეფასების თვალსაზრისით აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურებში

შესაძლებლობები

- ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უწყვეტ განათლებაზე
- სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გამოყენება, როგორც არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობის საშუალება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- ეფექტურობის გაზრდის მიზნით ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ერთობლივი გამოყენების დამატებითი გზების შემუშავება

როგორ შეიძლება გაიზომოს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშები
  - ანგარიშების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება სწავლის შედეგების შეფასების ზოგადი სურათის დანახვა ქვეყნის დონეზე. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები ასევე ითვალისწინებს თვითშეფასების ანგარიშებში უსდ-ების მიერ მოცემული სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს
  - აჩვენებს როგორ უზრუნველყოფენ უსდ-ები სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
  - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები იძლევა საშუალებას შესწავლილი იქნას ის გარემოებები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას (მაგ. მასწავლებლების კვალიფიკაცია, მიღების წინაპირობები, მატერიალური რესურსები, პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს გათვალისწინებით და ა.შ.)
- ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცედურებით გათვალისწინებული სტუდენტებთან ინტერვიუების ანალიზით შესაძლებელია სტუდენტთა პერსპექტივების დანახვა სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. ინტერვიუების მიზანია დამატებითი მტკიცებულებების დადგენა იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობენ ხელს პროგრამები სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით
- უსდ-ების მიერ აკრედიტაციის/ავტორიზაციის განაცხადებში წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა კითხვარები, დასაქმების დინამიკის კვლევები - იძლევა ინფორმაციას რამდენად გამოიყენება შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები

გმადლობთ ყურადღებისთვის!